# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 1 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 24 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 24


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნი ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


უზომო მწუხარებაში მყოფნი კნეინა ნინო გიორგის ასული გელოვანისა, კონსტანტინე და პლატონ ლევანის ძენი გელოვანები მეუღლეებით, ერმალო გოჯასპირის ძე გელოვანი და ტიპი (აგრაფენა) გელოვანისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობარ-ნაცნობთ, რომ 22-ს ამა თებერვალს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქმარი, მეორე და მესამესი ძმა, მეოთხესი ძმისწული და უკანასკნელთ ბიძაშვილი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი

## თ-დი ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძე
# გელოვანი,

რომელსაც მოასვენებენ თბილისიდან დღეს, ხუთშაბათს დილით 26 თებერვალს, ქუთაისის სადგურზე. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს ნაშუადღ. 1 საათზე, საკათედრო ტაძარში. და შემდეგ წირვა-პანაშვიდისა, ორ საათზე, წაასვენებენ ლეჩხუმში ს. სპათაგორს, ხოლო დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოში ახალქალას 1-ს მარტს, დილით კვირას.

4—4—78

შაბათს დილით ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ა ნ ტ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დიდათ მოყვარულნი ძმა მისი ჯიბო იაშვილი შვილებით და ძმისწულებით და ქვრივი მისი დიდა იუსტინეს ასული იაშვილისა.

ცხედარს წაასვენებენ ქუთაისიდან სარჩერეს პარასკევს, 6 მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 7 მარტს, სოფელ არგვეთში, საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ხუთ საათზე. კაზაკოვის ქუჩაზე ჯ. იაშვილის სახლში.

დეკანოზი იოანე მარგიანი და ცაგერის საზოგადოება გლოვობს და სტირის დეპუტატ

## ვარლამ გელოვანის

უდროოთ გადაცვალებას. საქართველომ დაკარგა თვალსაჩინო შვილი.



ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბ „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:

„ფაი—რენე“ და „ფაი—ფი კ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები შეუვაჭრებლათ

თ.



# ქუთაისის ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ დღეს, 1 მარტს,
ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა დავით კლდიაშვილისა.

1. **უბედურება**
სურათი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, ამ პიესისათვის იხ. ტება დეკორაციები.

2. პირველად ორიგინალური პიესა კონ. ანდრონისა.
**სიზმარი კოშკში**
1 მოქმედებიანი.

3. ორიგინალური კომედია აკაკი წერეთლისა
**ბუტიაობა**
1. მოქმედებიანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ანონსი: მზადდება წარმოდგენად: ოიდიპოს მეფე, იუდა ისკარიოტელი.


## ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.**—ოფიციალური. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. სუვალკის რაიონში მტერი განაგრძობს, რა სიმნონსა და ავგუსტოვოს დაცვას, გადმოდის იერიშზე სიმნინოს რაიონში. ნარევის რაიონში ხდება სასტიკი საარტილერიო ბრძოლა. ომულევთან მტრის იერიშებს ჩვენი ჯარი აკავებს. პრასნიშთან მტერი იერიშებით მოდის. აქ მტერს გარს შემოვერტყით და დიდი ზარალი მივაყენეთ. ვიხელთეთ ორი ზარბაზანი, ორი გაუბიცი, 7 ტყვიისმტყორცნელი, და ექიმები პრილობების შესახვევ მოწყობილებიანათ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 4 ათას კაცამდე, და 70 აფიცერი. კოზიუვკის და რაბეს რაიონში მტერმა კვლავ მოიტანა რამოდენიმე სასტიკი იერიში, რომლებიც ჩვენი ჯარისგან ყველგან უკუგდებულია. აქ მტერი დიდათ დაზარალდა. აღმოსავლეთ გალიციაში სოფ. ნეზავინსკასთან მდ. დნესტრზე დონის ყაზახებმა მოსპეს მთლათ ერთიანათ პრუსიელ გუსარების სამი ესკადრონი, 10 აფიცერი და 255 გუსარი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ოსოვეცზე ყუმბარების დაშენა მტერმა შეასუსტა ყუმბარების ეკონომიის მოსაზრებით. პრასნიშთან იერიშები მტერმა ძლიერ სუსტათ მოახდინა.

სოფ. ცეკანოვთან ჩვენ ავაფეთქეთ მტრის უზარმაზარი წამლის საწყობები.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 27 თებერვალი. ოფიციალური ცნობა. 26 თებერვალს თითქმის მთელ ფრონტზე საშინელი სქელი ნისლი ხელს უშლიდა ჩვენს მოქმედებას. ბელგიაში, ინგლისის პატარა ესკადრამ ყუმბარები დაუშინა ვესტენდეს. იპრის სექტორში ჩვენ ადვილათ მოვიგერიეთ მტრის ორი იერიში. ზენდებორდესთან ინგლისის ჯარმა, ნევშაპელის რაიონში, მოიგერია ორი კონტრ-იერიში და მტერს დიდი ზარალიც მიაყენა. ოთხშაბათს, საღამოთ, შამპანიაში, პერტის დასავლეთით, საკმაოთ წინ წავიწიეთ და გავმაგრდით ტყეში. არგონის სიმაღლეზე ბრძოლის დროს, ჩვენ წამოვიღეთ მტრის რამოდენიმე ყუმბარის მფრქვეველი. ვოგეზში მოვიგერიეთ მტრის კონტრ-იერიში.

**ლონდონი.** 27 თებერვალი. სამხედრო სამინისტრო იუწყება: გუშინ, 26 თებერვალს, ინდოეთის მეოთხე კორპუსმა საგრძნობლათ წინ წაიწია, ხელთ იგდო ყველა ის პოზიცია, თხრილები და სხვა სიმაგრენი, რომლებიც მას გზაზე


# ელექტრო-თეატრი რადიუმი.

კვირა, 1 მარტიდან დიდებული პროგრამმა მხოლოდ 3 დღით.

I.
**სამხედრო ქრონიკა**

II.
**ნაღვლიანი ჰანგი**

ძლიერი დრამა 3 მოქმ. ინდოელ სექტანტთა ცხოვრებიდან.

ოღონდაც ცოლმა კი არ გაიგოს! სასაცილო და სამხიარულო კომ. 2 ნაწ.

ფასები ჩვეულებრივია.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 5 მარტიდან ნაჩვენები იქნება ორი შესანიშნავი სურათი. 1) **საბედისწერო ქალი.** ვერა გორიჩი. მძიმე დრამა 3 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. გამოჩენილი მსახიობის ქალის ჩერნოვას და მსახიობის მიჩურინის მონაწილეობით. 2) **კოპწია ქალი,** მხიარული კომედია ორ ნაწ. 3) **პატე ჟურნალი.**



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ
ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:
„Критика психологической теоріи права“
Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
**თხზულებანი ჯაჯუ ჟორჟიკიასი.**
ფასი 60 კაპ. წ.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
**ძმათა პასხალიდის**
აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა** და **ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

**კბილის მენადარიშრილი და ტრუფაშქიმები. ნოვა,** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)



# ქალაქის თეატრი

სამშაბათს, 3 მარტს 1915 წ.

კიტა აბაშიძის თავჯდომარეობით

ალექსანდრე მანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

„ქალი გრძნეული“-ს

შესახებ გაიმართება საუბარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ (ანბანის რიგით): კ. ანდრონიკაშვილი, ა. გაბუნია, გ. გიორგაძე, შ. დადიანი, ია ეკალაძე, პ. იაშვილი, ტ. მარგველაშვილი, გ. ლალიძე, ს. რობაქიძე, დ. უზნაძე, ა. ფალავა. ი. ფანცხავა, ალ. ჯანელიძე, ტ. ჯაფარიძე.

საუბრის დაწყებამდი პოემას წაიკითხავს აკაკი ფაღავა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

P. S. ყველა დამსწრეს მიეცემა ორი ფურცელი ქაღალდი, მათ შორის: ერთი მოწონების და მეორე დაწუნების გამომხატველი. ამ ბარათებს დასვენების დროს საგანგებო ყუთებში ჩაუშვებენ და საღამოს დასასრულ გამოცხადდება რამდენმა მოიწონა და რამდენმა დაიწუნა პოემა.

ქალნი და ვაჟნი ცალ-ცალკე აძლევენ ხმას.

# დ ღ ე ს რ ა მ ო ხ დ ა.

პერტის დასავლეთით შამპანიაში ფრანგებმა წინ წაიწიეს და დამკვიდრდენ ტყეში.

ვოგეზში გერმანელების კონტრიერიში მოგერებულ იქნა.

ინდოეთის მეოთხე კორპუსმა რამდენიმე მანძილზე ბრძოლით წინ წაიწია და გზა-გზა თხრილები და სანგარები აიღო.

იტალიისაგან ახლო მომავალში გარკვეული ნაბიჯის გადადგმა ხალხში და მაღალ წრეებში აღელვებასა და სხვადასხვა ხმას იწვევს.

ავსტრიელები დამარცხების მოლოდინში ჩერნოვიცს საიდუმლოთ სტოვებენ.

თეირანში ადგილობრივმა ჟანდარმებმა რუს ქვეშევრდომ პრინცესის სოფლები აიკლეს.

**ზ ღ ვ ა ზ ე.**

გერმანიის მაშველმა კრეისერმა ინგლისის გემი „ჩირჩასი“ და „კილდატონი“, და საფრანგეთის გემი „ჟანი“ ჩასძირა.

ავსტრიისა და გერმანიის ელჩები თავისი შედგენილობით კონსტანტინეპოლიდან ბრუსას გადასახლდენ.

საბერძნეთის გამოსვლის საკითხის გადაწყვეტა ბერლინში დიდ აღელვებას იწვევს.

---

შეხვდა. ტყვეთ წამოიყვანა 700 გერმანელი. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისის მფრინავები, რომლებმაც შესძლეს დაენგრიათ რკინის გზა კურგრემენენთან.

**თეირანი.** 27 თებერვალი. ისპაჰანიდან ცნობა მოვიდა, რომ ადგილობრივმა ჟანდარმებმა აიკლეს რუსის ქვეშევრდომ პრინცესის ბანუუზ-მას სოფლები და ამ სოფლების მამასახლისები ყველა სიკვდილით დასაჯეს.

**ნიუპორტნიუსი.** 27 თებერვალი. გერმანიის მაშველმა კრეისერმა „პრინც ეიტელმა“ გადმოსხა ნავთსადგურებში ინგლისის გემების „ჩირჩასის“ და „კილდატონის“ და საფრანგეთის გემის „ჟანის“ ეკიპაჟები, ეს გემები მან ჩასძირა წყნარ ოკეანეში. კრეისერმა თან წამოიყვანა საფრანგეთის გემები „ჟანუ“ და „ისტერლანდა“ გადმოჰყირთა იქიდან 3 ათასი ტონი ქვანახშირი და შემდეგ ზარბაზნის სროლით იგინი ჩასძირა. სატამოჟნო მოხელემ კრეისერის უფროსს მოსთხოვა ცნობები ამერიკის გემის „ფრეის“ დაღუპვის შესახებ, აგრეთვე მოსთხოვა ამერიკის გემის საბუთები. გემ „ფრეის“ ერთი მესაკუთრეთაგანი მოითხოვს ამერიკის მთავრობისაგან, რომ გერმანიის კრეისერს მოექცნენ ისე, როგორც მეკობრეების გემს, და გემის ეკიპაჟს კი როგორც ზღვის ყაჩაღებს. და ამასთანავე გერმანიის მთავრობას გამოეცხადოს უსასტიკესი პროტესტი. გაზეთი ნიუიორკ-მენინგსუნი“ „ფრეის“ ჩაძირვას სთვლის ამერიკის ნეიტრალიტეტის დარღვევით და „პრინც „ეიტელის“ მოსვლას ამერიკის ნავსადგურში უსინიდისო და თავხედურ მოქმედებათ.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რომი.** 27 თებერვ. იმის მოლოდინი, რომ იტალია ახლო მომავალში სრულიად გარკვეულ გზას უნდა დაადგეს, საშინელ აღელვებას და სხვადასხვა ხმას იწვევს აქაურ საპარლამენტო წრეებში. ჯერ-ჯერობით გერმანიასთან არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა, თუმცა ამის საჭიროებას ყველა გრძნობდა, მაგრამ დაიწყო თუ არა მოლაპარაკება სანნინოსა და ბიულოვს შორის, ამ გარემოებამ შიში გამოიწვია, და ომში ჩარევის მომხრეებმა მთავრობაზე ეჭვიც შეიტანეს. ახლა გამორკვეულია, რომ მთავრობას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რასაც ეჭვის დაბადება შეეძლო, ან კიდევ გაემართლებია ხმები, ვითომც მან უკვე გერმანიასთან შეთანხმება მოახდინა. ეს ხმები გავრცელებულია რომში გერმანოფილურ გაზეთებისაგან, რომ ნიადაგი მოამზადონ როგორც პარლამენტში, ისე ხალხში. ხალხმა თავისი აზრი, ამის შესახებ თავის მოქმედებაში შემდეგი სახით გამოხატა: იტალიელთა ერთიჯგუფი გაზეთის დამტარებელთ, რომელნიც გაჰყვიროდენ იტალიისა და გერმანიის შეთანხმებას, ხელიდან გლეჯდა გერმანოფილურ გაზეთებს და ქუჩაში სწვავდა.

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, იტალიის მთავრობას არ შეუძლიან დაკმაყოფილდეს იმით, რაც ბიულოვმა იტალიას წარუდგინა და რაზედაც ავსტრია თანახმა არისო.

**ბუქარესტი.** 27 თებერ. „უნივერსალი“ იტყობინება: კერძო ცნობებიდან სჩანს, რომ მოსალოდნელი დამარცხების მოლოდინში ავსტრიელები საიდუმლოთ ახდენენ ჩერნოვიცის ევაკუციას. ქალაქში საღამოს 6 საათ. გამოსვლა აკრძალულია, მთავრობას ღამით გადააქვს სამხედრო მასალა. გრაფი მერანი, რომელსაც ჩერნოვიცში ჰქონდა ბინა მომზადებული, ჩერნოვიცს აღარ მოვა.

**რომი.** 27 თებერ. რესპუბლიკანურ პარტიის დეპუტატებმა გარეშე საქმეთა მინისტრს შეკითხვა მისცეს: რამდენათ ეთანხმება სიმართლეს და ჭეშმარიტებას ხმები იმ დიპლომატიურ მოლაპარაკების შესახებ, რომლებიც დამამცირებელია იტალიის სახელისა და ინტერესებისო.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: გუშინ სალანდრას ბიულოვმა აცნობა, რომ მოლაპარაკება სწარმოებს ბერლინსა და ავსტრიის მთავრობებს შორის იტალიის დათმობის შესახებო. იტალიის მთავრობა მოლაპარაკებას ბიულოვთან არ აწარმოებს. იტალიის მთავრობა უფლებას იტოვებს გადასინჯოს ის პირობები, რომელიც ავსტრიის მხრით ბერლიდან მოვა.

**ვასილკოვი.** 27 თებერ. გონჩარუკის საქმის გარჩევა კვლავ გრძელდება. ბრალმდებელმა ორ საათს ილაპარაკა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასიკოვის (პაშკოვის) მოკვლა გონჩარუკისგან შურის ძიებით და წინად განზრახული მოქმედება არისო.

**ლონდონი.** 26 თებერ. თემთა პალატაში. იმ შეკითხვაზე, რომელიც დეპუტატებმა პალატაში შეიტანეს, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებმა მიიღეს თუ არა ზომები იმის შესახებ, რომ სერბიას ბულგარეთისთვის დაეთმო მაკედონიის ნაწილი, რომ ამით მკვიდრი ნიადაგი დადებოდა ბალკანეთის სახელმწიფოების ერთობას, —გრეიმ უპასუხა, რომ საფრანგეთი და რუსეთი ისე, როგორც ჩვენ, მოწადინებული არიან, რომ ყველა ის კითხვა, რომელიც ასე აღელვებს ბალკანეთის სახელმწიფოთა ურთიერთობას, საჩქაროთ გადაჭრან და ეს სახელმწიფოების, სთქვა გრეიმ, არ გაუშვებენ შემთხვევას, რომ ამ მიზანს როგორმე მიაღწიონო.

---

ქუთაისის ქალაქის თეატრში.

**ხუთშაბათს, 5 მარტს გაიმართება**

**ბრიშაშვილის საღამო.**

ხუთ განყოფილებად. დაწვრილებით შემდეგ.

ადგილების ფასი **ჩვეულებრივია.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები ამთავითვე ისყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

4—2

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

კალიშიდან გამოქცეულის ცნობით, ყველა ფაბრიკა იქ დაკეტილია, განსაკუთრებით გერმანელი მოვაჭრეები ვაჭრობენ, ქალაქში პოზიციებიდან დაბრუნებული ბევრი აფიცერია თავმოყრილი დასასვენებლათ, რომლებიც რესტორანკაბარესა და ცირკ-კინემატოგრაფების მუდმივი სტუმრები არიან. ადგილობრივი მცხოვრებლები გაჭირვებას განიცდიან.

ერთ-ერთს ნეიტრალურ სახელმწიფოს საელჩოს კონსტანტინოპოლიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ავსტრიისა და გერმანიის ელჩები თავისი შემადგენლობით და საბუთებით კონსტანტინოპოლიდან ბრუსაში წავიდენო.

— —

ბერლინში დიდ აღშფოთებას იწვევს საბერძნეთის დღევანდელი მთავარი საბჭოს სხდომა, რომელზეც მოკავშირეთა წინადადება უნდა იყოს განხილული, რათა საბერძნეთმა მიიღოს კონსტანტინეპოლის დაპყრობაში მონაწილეობა, რითაც შეასრულებს თავის ისტორიულ მოვალეობას. საბერძნეთმა მაშველი ჯარი უნდა გამოიყვანოს ხმელეთზე, რომელსაც მიზნათ კონსტანტინეპოლისკენ გზის გაკაფვა ექნება.

— ბერლინის სახელმძღვანელო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ საბერძნეთი ომის პირზე სდგას.

## ქუთაისი, 1 მარტი.

იმ დროს, როდესაც ჩვენ, კალმოსნებმა, თუ ქალაქის შეძლებული მცხოვრებლები ჩვენ — ჩვენ კაბინეტში თბილათა ვსხდევართ, გვიჭირავს ხელში გაზეთები თუ დეპეშები და ათასგვარ მოსაზრებას გამოვსთქვამთ, უვიცი, ღარიბი სოფელი უპატრონოთ არის მიტოვებული და კაცი არ არის, რომ ისედაც შევიწროვებული, უკეთური და უმადური ცხოვრება შეუმსუბუქოს ამ ომის დროს და განუმარტოს ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობა, აუხსნას ამა თუ იმ მოვლენის მავნებლობა, თუ სარგებლობა.

ომი, მოარული, თუ სხვა რაიმე საქვეყნო უბედურებაც კი ზოგიერთ ბოროტისათვის საშუალებათ [illegible] უფრო მეტად გაყვლიფოს და გააუბედუროს საწყალი მშრომელი ხალხი.

ჩვენ გაზეთში არა ერთხელ იყო აღნიშნული გაიძვერობა სოფლის მოღალატეობისა, მაგრამ მათი ალაგმვა მხოლოდ გალვიძებულსა და გამოფხიზლებულ სოფელს შეუძლია.

ნეტა როდის ეშველება ჩვენ სოფელს, როდის გაუჩნდება მას ნამდვილი გულშემატკივარი?

მანამდე კი იქნება შორიდან მაინც მივაწვდინოთ ხმა გამხნევებისა და ცოტათი მაინც ავაცდინოთ მას ესა თუ ის უბედურება.

ასეთ უბედურებათ ჩვენ ამ ჟამად მიგვაჩნია **ის ყალბი და სოფლის დამღუპველი ხმები,** რომლებით ვილაცეებს გაუვრცელებიათ დასავლეთ საქართველოში:

**ომის გამო აბრეშუმი არ გაიყიდება და ტყვილათ ნუ იშრომებთ, ჭიას ნუ გამოიყვანთო.**

ვინ არ იცის, რომ მეაბრეშუმეობა ერთი თვალსაჩინო დარგთაგანია დასავლეთ საქართველოის მეურნეობის და, ვინც ასეთ ხმებს ავრცელებს, იგი დამღუპველია სოფლისა და მრეწველობისა.

ვარწმუნებთ სოფლის მშრომელ ხალხს, რომ ასეთი ხმები ყოველ გვარ სიმართლეს არის მოკლებული.

პირ იქით, ამ ომის გამო აბრეშუმს ჩვენში უფრო დიდი გასავალი ექნება რუსეთის ბაზარზე, რადგანაც სხვა სახელმწიფოების გზები შეკრულია, რუსეთი კი უძაფოთა და უაბრეშუმოთ ვერ დარჩება.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით რომ რუსეთში ძაფის ფასმა ძლიერ იმატა და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ სამზღვარგარეთიდან საჭირო მასალა აღარ შემოდის.

ამ გვარად, ვაფთხილებთ ჩვენ მეაბრეშუმეებს არ დაუჯერონ ყალბ ხმებს და განაგრძონ თავისი მადლიანი შრომა, თავის თავისა და ქვეყნის სასარგებლოთ.

# ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

26 თებერვალს ათი წელიწადი შესრულდა, რაც კავკასიაში ნამესტნიკობა დაარსდა. ამის გამო „ზაკავ. რეჩი“ სწერს:

„დღეს ათი წელიწადი სრულდება, რაც კავკასიაში ნამესტნიკობა დაარსდა ამ მოვლენას არ შეიძლება ყურადღებით არ შეხვდეთ, რადგანაც ათი წელიწადი საკმაო დროა, რომ დავაფასოთ ის ნაყოფი, რომელიც გამოცვლილმა წესწყო-

---

# ოცნება

(უცხოურიდან)

ვუძღვნი თ. დავით მიქელაძეს—მეველეს.

ვნახე სიზმარი. დღე იყო წყნარი,
დინჯად სცურავდა მზე ცა-წმინდაზე,
ველს, გულ-მოქარგულს ყვავილთა ჯარით,
ხიბლავდა მთათა სიბუმბერაზე.
ირგვლივა სდუღდა ცხოვრება, ვით ზღვა,
ნაპრალთა შორის წყარონი მღეროდენ,
თითქო ომის და გამარჯვებისთვის
აფრთოვანებულს გულებს იწვევდენ.
იქ ღამის მგოსნის-ბულბულის სტვენაც
გრგვინვასა ჰგვანდა ომისთვის ამძნებს,
ომის ალმურის დიადი კვალი
ზედ აღბეჭდოდა იქ ყოველ საგნებს.
აბჯართა ჩხერა, ჩხუბის გუგუნი,
მკაცრი კიჟინა სისხლის საზღვევად—
ირგვლივ ისმოდა იმ მიდამოში
ხან ნაღიმ-ლხენად, ხან კრულვა-წყევად.
თავისუფლების მუდმივი ტრფობა,
თაყვანისცემა დიად ცხოვრების—
მუდმივ ჟამს მკვიდრი თვისება იყო
იმ მამაც ქვეყნის შვილთა გმირ კრების.
მთათა მწვერვალზე, რომელთაც თავნი
ზე აეზიდათ ცის გასაპობლად,
ღრმა ნაპრალებში, საიდან წყალნი
მოჰქუხდენ გმირულ ამბავთ სამბობლად,
ტურფად გადაშლილ ვაკე-გორებზედ,
სად თვალს ატყვევებს ტკბილი სანახი,—
ყველგან ცხოვრებდა დიდი ცხოვრებით
იმ ამაყ ქვეყნის ამაყი ხალხი.
იგი ცხოვრებდა და ეწაფოდა
მას, რით ცხოვრებას აქა სდევს ფასი;
ომის შფოთვაში მას შიგ ჩაერთო
გმირულ სიმღერის კილო კისკასი.
სისხლის ზღვევასთან იქ გაისმოდა
ხმა სიყვარულის, ცრემლში ჩამდნარი,
ხმა სილამაზის ღვთაებად მქმნელი,
ხან მით დაწვული, ხან მით დამტკბარი.
ჰრილობებიდან მონაღვარ სისხლთან
იღვროდა იქვე ქიფში ღვინო,
ისმოდა მღერა ვაჟ-კაცთ საფლავზე,
თქმა მათის ქების, ხმა გმირთ სალხინო.—
ურიცხვ გუნდებად მფრინავ მერნებზედ
მკვეთრ იარაღში ჩარაზმულები,
კიჟინით ტყე-ველს მოედებოდენ
იმ უშიშ ქვეყნის გმირი შვილები.
ჰფრენდენ ცხენები და მხედართ მღერა
მკაცრად მიდამოს მოედებოდა,
მათ სხვა მხედრები უერთდებოდენ,
რაზმი გრგვინავდა და დიდდებოდა.
მათ მფრინავ ცხენთა ფეხთ ნატერფალი
მთებს ფერს უცვლიდა, ვით მონაბუქსა,
და გამჭრიახის მათ თვალთა ხედვა
თვით დღის მნათობსაც უკრთობდა შუქსა...
აჰა, მე ვხედავ: ვაჟ-კაცთ რაზმიდან
ვილაც ქალთა-მზემ ასკუპა ცხენი,
ჩემს სისწვრივ მორბის მერანი მკვირცხლი,
ოფლში გალვრილი, გულ-მძლავრად
მქშენი.
მყის შემაშფოთა ციურის ხილვამ,
წინ ფეხი წავდგი, თავს ძალი დავრთე,
ცხენს სადავეში წავავლე ხელი
და თვალი შუქ-მფენს ძლივ-ღა შევმართე!
იგი მძლე იყო და სხივ-მფინარე,
ჩამჯდარი იყო მკვეთრ იარაღში,
ვნებით, მღელვარედ ჰკვესდენ თვალები,
ხან რისხვა სჩანდა, ხან ტრფობა მათში.
აღელვებისგან ხმა-წართმეულმა
ვსცან ის, ვით ღმერთი, ვით სამლოცველო,
ლმობით შევხედე ლამაზს და ვჰკითხე:
—„ვინ ხარ, ქმნილებავ შენ საკვირველო?!
ოჰ, რომ იცოდე რა რიგ მიყვარხარ!..
შენ თვით ღმერთი ხარ, მსოფლიოს
მშვენი!..“
და მყის ღმერთ-ქალმა პასუხად მითხრა:
—ვარ საქართველო, სამშობლო შენი!

2

გაქრა ყველა ეს... თითქო ბურუსმა
უეცრად ჩანთქა სურათი ტკბილი.
დავიწყდა ყველა... ირგვლივ მიდამოს
მძლედ გადმოაწვა თავს მკვდრული ძილი.
და თუმც კი შემდეგ გაჰქრა ბურუსი
და კვლავ გაათბო მზემ დედა მიწა,
მაგრამ მან მხარე დავიწყებული
კვლავ მკვდრულ ძილისგან ვერ განაღვიძა.
ის მწუხარებით იყო მოცვული,
დღეს უსიცოცხლო და მუნჯად მყოფი;
ვით სამარის კარს მისვენებული,
ძლივს-ღა სუნთქავდა ის ავათ-მყოფი.
და თვით მდინარეც კისკის-თამაშით
ქვით ქვაზე ხტომით ჩამომდინარე—
ისე მწუხარედ მობუტბუტობდა,
ვით მწარ სიზმარში ბოდავს მძინარე.
ცხადათა ვგრძნობდი, რომ ბულბულსაც კი
საქვეყნო დარდი გულში ემსჭვალა,
თვისი ამაყი და მძლავრი ჰანგი
ნაღვლის მთხველ ჰანგად შესცვალა.
ომის კიჟინა, ვაჟ-კაცთ მის ხსოვნა,
მტერთან კვეთება აღტაცებული—
ჩემს გულში ახლა ფუოდა სადღაც,
ვითა სიზმარი დავიწყებული.
დღეს არც ერთის მხრით აღარ ისმოდა
მღერა ომისთვის ამაგძნობელი,
მხოლოდ ლოცვაში, მწარე ლოცვაში
ცრემლს ღვრიდა მხარე ბედის მგმობელი.
წყაროს ჩუხჩუხში ისმოდა კვნესა,
ფოთოლთ შრიალში—გლოვისა ზარი
და მწარე ფიქრში თავის ამაყ ქედს
ძირს ხრიდა მთაი უზარ-მაზარი.
მღვიმე ნაპრალში ჩათხეულიყო
შავი ნაღველი გაურკვეველი:
რაღაც საქვეყნო დიად საგლოვოს
სულ-გაკმედილად ჰგლოვდა ყოველი.
და წინაგრძნობით დამწარებულმა
მეც შევიხორცე ბუნების დარდი;
შორს ვიწყე ცქერა... უცბად შევნიშნე
მთის ხრიოკ ქედზედ მე რაღაც ლანდი.
იგი ჩვენება პირდაპირ ჩემსკენ
უხმოდ, უსიტყვოდ მოიჩქაროდა,
ღვთიურ სახეზედ დარდი, ნაღველი,
შიში და ტანჯვა ზედ აღბეჭდოდა.
ის იყო ქალი... შლილ თმათა ტევრი
მძლეველ მხარ-ბეჭზედ მას გარდეფინა;
მწარის ფიქრისგან ნატანჯის სახით,
ვით ანგელოზი, წარსდგა ჩემ წინა.
მითხრა: „მიშველე, დამფარე სადმე,
მეჭირისუფლე, ნუგეში მეცი!
მომეწევიან და მყის მომსპობენ:
ეს არის სიკვდილს გამოვექეცი!“
მე შევეკითხე: ვინა გყავს მტერი?!—
მან მიპასუხა: ვერ ვცნობ, ვინ არი!
მხოლოდ ეს ვიცი: თუ არ მიშველე,
ჩემს აღსასრულზე მყის დაჰკრავს ზარი!
დამქანცა ტანჯვამ, გული გამიტყდა,
დავდნი ბრძოლაში, აღარ მაქვს ღონე...
მსურს თავი ვიხსნა, მაგრამ ამისთვის
ვეღარა ხერხი ვერ მოვიგონე!..“
კვლავ შევეკითხე: ვინ ხარ, ციურო?
მსურს შეგეწირო ვით სამღთო ძღვენი!
და წამებულმა მომიგო კვნესით:
—„ვარ საქართველო, სამშობლო შენი!“

3

ამ დროს უეცრად ცა ჩაშავბნელდა,
შეუკრთა ფერი ზეცაზედ მზესა,
გაისმა ჭექა, ასტყდა თოფის ხმა,
დამყარდა ირგვლივ გლოვა და კვნესა.
დავკარგე გრძნობა. თავ-ქვე დავეცი,
როგორც უსულო და ცოცხალ-მკვდარი
და ძილ ღვიძილში მესმოდა ირგვლივ
ვიღაცას ტანჯვა და კვნესა მწარი.
მესმოდა ჯავრი და მწუხარება,
მწარე მოთქმაში მწარ ცრემლთა თხევა,
გულის ჭრილობის ტკივილ-სიმწვავე,
მოსისხლე ბედის კრულვა და წყევა...
მოვეგე გრძნობას!—ვნახე, ჩემს ირგვლივ
სიბნელე იყო, ვით ჯოჯოხეთი;
წყვდიადს ებრძოდა მკრთალ მთვარი სხივი
სარკმელში ოდნავ შემონაკვეთი.
ვიგრძნე, რომ ვვდევ შავ-ბნელ საკანში,
თავისუფლება მქონდა ახდილი;
ტყვე, ჩაკეტილი ცივ-კედლებ შუა,
წარსულის ვიყავ მხოლოდ აჩრდილი.
იდუმალობა სუფევდა ირგვლივ,
ჩემის გულისვე მესმოდა ძგერა;
ვიგრძენ: უეცრად ჩემს ახლოს ასტყდა
ჩუმებრ ტუსაღის ბორკილის ჟღერა.
მის ცოდვით ჩემი გული შეშფოთდა,
ირგვლივ მიდამოს მოვავლე თვალი
და მყის შევნიშნე მთვარის მკრთალ სხივზე:
კუთხეში იჯდა მწუხარე ქალი.
მის მქრალ თვალებში ტბად იდგა დარდი,
გულ-მოკლულობა სასოწარმკვეთი,
მაგრამ მიდამოს მაინც შუქს ჰფენდა
თვის სილამაზით აქ ეს ქალ-ღმერთი.
მის ფართე მკერდი, ახრილი აღმა,
ამოსუნთქვაზე სძგერდა და კრთოდა
და თმა ბნელ ტევრად განიერ მკერდზედ
არევ-დარევით ზედ გადაჰყროდა.
შერიგებოდა თვის ბედს უწყალოს,
ციხის სიმკაცრეს და სივაგლახეს,
ტანჯვა ჰქენჯნიდა, მაგრამ თვით ტანჯვაც
კი დაეძლია მის ციურ სახეს.—
მაგრამ შევნიშნე: სახე შეუკრთა,
მყის დაეკიდა ცრემლი წამწამზედ,
შევკრთი, ბორკილი შევაჩხრიალე
და მის წინაშე გავჩნდი ერთ წამზედ.
მან ლმობიერის თვალით შემხედა,
მე ხელზე ვეცი, ვუწყე ამბორი,
მწვავად ნათხევის ცრემლით ვუბანე
მის წმინდა ხელი, ღვთაების სწორი...
და მისი ტანჯვით აშფოთებულმა
გულით შევჰკითხე მე იმ ქალ-ღმერთას:
—„მზეთა-მზევ, მარქვი, რათ მისცემია
ეგ შენი გული სასოწარკვეთას!
ნუ თუ არ ძალ-გიძს შენ ეგ ბორკილი
მილეწ-მოლეწო, თუ კი ისურვო
და მყის დიადის თავისუფლებით
ჩვეულებრივად კვლავ აღიჭურვო?!“—
ის ამ სიტყვებზედ უცბად მოცოცხლდა,
თვალნი აენთო, ვით ცეცხლის ალი,
ხელ ახალ ბრძოლის და ცხოვრებისთვის
იმედ-მორჭმულმა კვლავ იგრძნო ძალი,
წამოდგა ზეზე, სთქვა აღტაცებით:
—„მე მჯერა, მჯერა და მაქვს იმედი!
ჩემს გულში ძალი ბევრია კიდე
და უკეთესი მელის მე ბედი!
ჩემი ხვედრია დიდებულება,
ღონეს მოვიკრებ, კვლავ გავდიდდები,

ბილებამ ჩვენს მხარესა და მთელ რუსეთს მოუტანა.

— უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაყოფი დიდია.

— ჩვენ ვერ შევძლებთ ამ ნაყოფს სათანადო ანგარიში გავუწიოთ, რადგანაც დღეს ისეთ ამბებს განვიცდით, რომელზეც ამ უკანასკნელი ათი წლის პოლიტიკამ შესამჩნევი გავლენა იქონია.

— გაივლის წლები და კავკასიის ხალხი ურთიერთის ქიშპობისა და შურის ძიებისაგან მოისვენებს. ერთა შორის უთანხმოება ჩაქრება, თითოეული ერი რუსეთში იმ უფლებითა და მდგომარეობით იქნება აღჭურვილი, რომელსაც იგი თავისი ისტორიული წარსულითა და სახელმწიფოს საკეთილდღეოთ გაღებულ მსხვერპლით დაიმსახურებს, მაშინ შეიძლება მიუდგომელათ და თავისუფლათ შევაფასოთ ყველა ის, რაც კავკასიაში გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის მართველობის განმავლობაში მოხდა.

— კავკასიაში მცხოვრებ ქართველებსა და მაჰმადიანებს კარგათ ესმით ისეთების დაფასება, ვინც მათთვის სიკეთეს სთესდა. მათ შორის დღემდისაც დაუვიწყარია ნამესტნიკათ ნამყოფ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელი, რომელმაც კავკასიის ხალხის კულტურულ ცხოვრების აღორძინების საქმეში დიდი ღვა ლი დასთესა. დღემდი, არა თუ დიდი მთავრის სახელი, მათი ოჯახობაც-კი ძვირფასი მოსაგონია თითოეული ქართველისთვის და მაჰმადიანისთვის.

დღემდი დიდი მთავრის შვილებს შესამჩნევ პატივისცემით ეგებება ქართველიცა და მაჰმადიანიც და ხალხისადმი მოდებულ მათი ყურადღებით თითოეული მათგანი ამაყობს.

— და, როდესაც შესწყდება ზარბაზნების გრიალი და ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება, მაშინ კავკასიის ქართველები და მაჰმადიანები მოიგონებენ დღევანდელ დღეს, რომლის მნიშვნელობაც იჩრდილება იმ უმწეო მდგომარეობით, რომელშიც სახელმწიფო იმყოფება, იმ მდგომარეობით, რომელისკენაც მიქცეულია ფიქრი და გული რუსეთის ყველა ერთგულისა.

# სიტყვა

კიტა აბაშიძისა, თქმული დეპ. ვ. გელოვანის ნეშტის გასვენების დღეს.

ძვირფასო ამხანაგო!

ჩვენის ცხოვრების სიბეჩავისაგან ტანჯულო და წამებულო, საყვარელო კუჭ-კო!

მძიმე მოვალეობა, მოვალეობა, რომლის მთელი სიმწარე სავსე ფიალით ძირამდე გამოსცალე შენს ხანმოკლე სიცოცხლეში, მაიძულებს ავამეტყველო ბაგენი ჩემნი, იმ დროს, როცა ჩემს გულში ათასგვარი ცეცხლი ტრიალებს.

შენმა თანამოაზრეებმა, შენმა ამხანაგებმა პირდაპირ არა ადამიანური, ტიტანიური ენერგია და ძალი დახარჯეს, რათა რუსეთის საკანონმდებლო ტრიბუნიდან განეცხადებიათ საქვეყნოდ ქართველის ერის იდეალები, რუსეთის წარმომადგენელთაგან ანგარიშის გასწორება მოეთხოვათ და აი კიდევაც მიაღწიეს ამას. შენ დაგაკისრეს ეს მძიმე მოვალეობა, შენ გარგუნეს პირველ მთხრობლობა იმ მაგიურის პოლიტიკურის ფორმულისა, რომლის განუხორციელებლად ქართველი მშრომელი ხალხის, ქართველის დემოკრატიის, ქართველის ერის წინსვლა და ზრდა არ შეიძლება. შენ ეს მოვალეობა ნათლად შეასრულე ენერგიულად და თამამად.

სამწუხაროდ შენმა სიტყვამ—ქართველი ერის უაღრესად კანონიერმა მოთხოვნილებამ—ჩრდილოეთ ოკეანის ყინულები ჩამოაცურა შენსა და რუსეთის საკანონმდებლოს წარმომადგენელთა შორის და სწორედ იქ გამოიწვია კბილთა ღრჭენა, სადაც სიხარულითა და ვაშათი უნდა შეხვედროდენ მას.

და შენი თანამოაზრეებისა და ამხანაგების წინაშე გადაიშალა მთელი სიმძიმე დასახულის იდეალის განხორციელებისა, მაგრამ არც მათ და არც შენ იარაღი არ დაგიყრიათ, არ შედრეკილხართ, კარგად იციან შენმა ამხანაგებმა, რომ ტანჯვის გზით მოიპოება ბედნიერება. გავიდა სულ მცირე ხანი და ცა და დედამიწა, მთელი სოფლიო შეიძრა საოცარის თოფ-ზარბაზნის გრიალით. ევროპის კულტურა წარსდგა საშინელის სამსჯავროს წინაშე, თვით უსაშინელესი საკითხები აღიმართა კაცობრიობის წინაშე და ცაზედ ცეცხლის ასოებით აღიბეჭდა: **დაჩაგრულ ერთა უფლების აღდგინება,** ურომლისოდ მთელის ევროპის ცივილიზაციას წალეკა მოელის.

და აი საუკეთესო ნაწილმა ქართველის ერისამ ახალგაზრდობითა და სიმშვენიერით შემკულმა, გმირობითა და მამაცობით აღჭურვილმა, მოწამებრივის ცეცხლით აღგზნებულმა რაღაც საოცარის და უცნაურის ჰიპნოზის ქვეშ გაემართა ომის ველზედ და იბრძვის უსიტყვოდ, იბრძვის შეუპოვრად, თავგამოდებით, თავგანწირულად, თითქო გადაწყვეტილი აქვს ერთიც ცოცხალი არ დაუბრუნდეს ბედკრულ სამშობლოს, თითქო ფიცი მიეცეთ ერთმანეთისათვის სისხლით მორწყონ ბრძოლის ველი.

და შენც ქართველის ხალხის წარმომადგენელმა იგრძენი რომ იქ არის შენი ადგილი „მათთან სიკვდილი, მათთან სიცოცხლე“ შენი მოვალეობაა და შენც ბოლო მოუღე შენ სიცოცხლეს, მაგრამ შენ დემოკრატიულის პრინციპის აღმსარებელს არავის სისხლი არ დაგიღვრია, ხოლო მათ უსალმუნებდი და მათ მეოხად იყავი ვინც სისხლიდან იშრიტებოდა მძიმე მოვალეობის აღსასრულებლად.

როცა ჩაფიქრდება კაცი ქართველ ერის ასეთს საარაკო თავგანწირულებაზედ—შიშის ზარი მოიცავს, გული მწარე ეჭვებით ევსება: ვაჰ თუ ეს უებრო მეომარნი თავისის გმირულის, მოწამებრივის წინასწარმეტყველობით ჰგრძნობენ, რომ საქართველოს უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა? ვაჰ, თუ ხედვენ, თავისის ღვთაებრივის გონებით, რომ ყორანი რომელიც ჩვენს ბედს თავს დასტრიალებს და დასჩხავის ბრჭყალებს ილესავს რათა უკანასკნელად ჩაჰკრას და ამოგლიჯოს წმინდა გული ერისა... მაგრამ ფხიზელი გონება ამის წინააღმდეგ აღშფოთდება მალმე. არა! ესეთი გმირები სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან, იგინი ლაჩრად და მხოლოდ არ მიურბიან ცხოვრებას, რაც უნდა ტანჯვით იყოს იგი მოცული.

არა! ღვთივ მშვენიერი შვილები საქართველოისა გრძნობენ, რომ დღეს საბედისწერო დღეა საქართველოსთვის და იბრძვიან მისთვის რაც შეადგენს ანდერძს ჩვენის წარსულისას, საფუძველს ჩვენის მომავლისას. მათ შეამჩნიეს, რომ საუკუნის განმავლობაში ლილატის ცეცხლზე წვა-დაგვამ შელახულ პირობას ფერი უცვალა და აი თავისის წმიდა სისხლით უნდათ ხელახლად განაახლონ იგი, ხელ-ახლა გააცხოველონ ღვთაებრივის მათის თავგანწირულებით მიძინებული სული იმისი, და აი ამგვარად მკვდრეთით აღდგენილს სიმბოლოს ჩვენის მომავალის ცხოვრებისას მთელი ქართველი ერი წარუდგენს ვისაც ჯერ არის და ვაი, იმას ვინც მოიწადინებს მას ბინძური ხელით შეეხოს: ყოველი ანბანი სისხლის ზღვად იქცევა, ყოველი ნაგლეჯი ცეცხლის წვიმად და შთანთქამს მკრეხელს, ფიცის გამტეხელს, რაც უნდა ძლევამოსილი იყოს იგი და უტიფარი.

და მაშინ, საწყალო ჩვენო კუჭ-კო! ერი შენი ცხოვრებისაგან გაბოროტებული, ხოლო კეთილშობილი შენ სახელს შეიტანს ჩვენის ცხოვრების ტანჯულთა სიაში და ეს იქნება უსაზღვრო ნუგეში შენის ამხანაგებისა, მეგობრებისა და მოყვარეებისა.

კიტა აბაშიძე.

---

უბედური ვარ მხოლოდ დროებით,
ეს დრო განვლის და კვლავ აღვდგინდები!“
და ამ სიტყვებზედ მთლად შუქად იქცა,
ციურად ბრწყინდა იმედ-მოსილი,
მის სამღრთო ტრფობით და სიყვარულით
ეს ჩემი გული იქმნა აღვსილი,
და შევეკითხე: —„ვინ ხარ ლამაზო?..
მსურს შენს მსახურად განვლიო დღენი!„
და შუქ მოსილმა მომიგო წყნარად:
—„ვარ საქართველო, სამშობლო შენი!“

4

და ვით ჩვენება, გაჰქრა ყველა ეს!
ტკბილად იცვალა სურათი მწარე:
განქარწყლდა ბნელი, აღსდგა სინათლე —
და გააბრწყინვა მგლოვარი მხარე.
გაცოცხლდა ისევ მთელი მიდამო,
მთა შეიმოსა მწვანე ხავერდით,
წყარომ ჩუხჩუხი იწყო მოლხენით,
ფრთოსნებიც ჰაერს აპობენ მკერდით.
ბულბულმაც ასძრა ჰანგი მგზნებარედ,
ჩაქსოვ-ჩახლართა შიგ გულთა ტრფობა,
ნიავიც ფოთლებს გაეთამაშა,
ბუნების ძალთა-ძალს უწყო მკობა.
მდინარის ირგვლივ კიდე-ნაპირზედ
მინდორ-ბაღები ამწვანდენ ტურფად,
ბუჩქის ძირს ყვავილთ თაიგულებმა
მოილამაზეს გულ-მკერდი სუფთად.
მზისა სხივები კლდეთა თხემებზედ
ტკბილ შუქ-მოფენით აღენთენ ხელად,
მთათა ჩერონი ვაკე მიდამოს
გამოეკიდენ საგრილობელად.
ხმას მუსიკისას, ამ ხმას სიმღერის
თვით ედემიც ვერ შეედარება,
ჩაგუბდა გულში ლხენა-სიამე,
თვითან სამოთხე და ნეტარება.
ფრთოსანთ მღერაში, ხალხის ლხენაში
სჩანდა განკურნილ გულთ აღმაფრენა.
ქების სალამით შელაღადებდა
ხმელეთი ზენას და ხმელეთს ზენა.
გეგონებოდათ, განახლებისთვის
გულ-მადლიერი სალვთო ბუნება
აღორძინების ძალთა ძალთ შემქმნელს
ტკბილ საგალობელს ეძღუნება.
ყველგან ისმოდა სიცილ-კასკასი,
თარსა და ჩონგურს აკრიალებდენ,
მღერდენ, ცეკვავდენ, მხიარულობდენ,
ცხენებს მთით მთებზედ ანავარდებდენ.
ხალხის რაზმებში სახე მღიმარედ
იდგა მზე-ქალი, კდემა მოსილი,
განიერს მხარ-ბეჭს, ტანს ჰაეროვანს
მას უფარავდა თხელი მანდილი.
არეს აბრწყინდა უკვდავი შუქი
მის ბაგეთაგან გამონაკრთობი,
ტურფათა შორის არ ჰყავდა ტოლი,
მნათობთა შორის იყო მნათობი.
შურით და იჭვით სახე შეუკრთა
ზეცაზე თვით მზეს, მის შუქით ძლეულს!
ადგა მზე-ქალი, უწყო ლოცვა ხალხს,
გულ-აღტაცებით გარშემოხვეულს.
მაგრამ რას ვხედავ!—ნუთუ ის არის?!.
ბორკილის კვალი ხელთ ამჩნევია;
ძველ ჭრილობიდან სისხლის წვეთები
ვხედავ, კალთებზე გადმონთხევია..
ნუთუ საკნიდან განთავისუფლდა,
გამოჰბუკდა, მოიცა ძალი?!
ნუთუ ია არის, საპყრობილეში
სასომიხდილი რომ ვნახე ქალი?!
მისი სიტურფით გულ-აგზნებულმა
მას ხელზე ვეცი, ვუწყე ამბორი,
ტრფობით ნათხევის ცრემლით გავბანე
მის წმინდა ხელი, ღვთაების სწორი.
და ვუთხარ: —ამდენ ვაების შემდეგ
თუ უნდა ზეცას აწ ჩემი ტკბობა,
უმაღლეს ჯილდოდ ჩემთვის იქნება
შენდამი ლოცვა და შენი ტრფობა.
მითხარ, საუნჯევ, გულის მნათობო,
მითხარი, უტოლო ვარსკვლავო ცისა,—
ღვთის მადლით ასე უხვად მოსილო,
მითხარ, ვინ ხარ, რომელი მხრისა?!
და ჩემს სიტყვებზედ მყის აგალობდენ
წყარო, ფრინველნი, მთანი და კლდენი
და აფრთოვანებულ ხმებში მომესმა:
—„ვარ საქართველო სამშობლო შენი!“

ცახელი.

---

# ახალი ამბავი.

დღეს, 1 მარტს, ლეჩხუმში შავს მიწას მიაბარებენ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვარლამ ლევანის ძე გელოვანის ნეშტს.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავმა სახელმწიფო სათათბიროს პროგრესისტებისა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კომიტეტისაგან დეპეშები მიიღო შესახებ იმისა, რომ მათი სახელით დეპუტატ გელოვანის ცხედარი შემკობილი იქნეს შესაფერი გვირგვინებით.

გუშინ ბ. ჩიქოვანმა ლეჩხუმში გვირგვინები უკვე გაგზავნა.

✦ ხვალ, 2 მარტს მოხდება ქალაქის საპჭოს კრება. გასარჩევათ დანიშნულია სხვ დასხვა საყურადღებო საქმეები.

✦ ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსმა ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოსაგან ცნობა მიიღო, რომ განსაკუთრებულ განკარგულებამდე შესწყვიტოს გასაგზავნათ საქონლის მიღება.

✦ ქალაქთა კავშირის მთავარი რწმუნებული, სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარის ამხანაგი ვარუნ-სეკრეტი ამ დღეებში დაათვალიერებს ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებს. მას განზრახვა აქვს გამონახოს ისეთი სალი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ქალაქთა კავშირის სავათმყოფოების მოთავსება.

ბ. ვარუნ-სეკრეტი პირველათ დაათვალიერებს ბათომის რაიონს.

✦ როგორც ქიათურიდან გვწერენ, ამ დღეებში შავი ქვის მეპატრონეებისაგან ხელსაყრელ ფასებში დიდძალი შავი ქვა შეიძინა თფილისის კომერციული ბანკის გამგემ ბ. თამაშევმა.

✦ დღეს, 1 მარტს, გამოვიდა ჟურნალ „განთიადის“ მორიგი, მეხუთე, ნუმერი შემდეგი შინაარსით: 1) სიკვდილი და დასაფლავება აკაკისა; 2) სიტყვა, კ. აბაშიძისა; 3) სიტყვა, ი. ჩიქოვანისა; 4) სიტყვა, ეპ. ლეონიდისა; 5) სიტყვა ტობჩიბაშევისა; 6) სიტ., თათეოსიანისა; 7) ლექსი დუტუ მეგრელისა; 8) ლექსი ე. ლოსაბერიძისა; 9) მოგონება ი. ი—ანისა; 10) ტუსაღის აღსარება დია ჩიანელისა; 11) იძულებითი განმარტება, ი. ფანცხავასი; 12) კრიტიკა, ხომლელისა; 13) შენიშვნები ს. ქავთარაძის ლექციის შესახებ, ვ. ემუხვარისა; 14) აკაკის სამკითხველოს დაარსება სოფ. ოფურჩხეთში, ისოსი და სხ.

✦ ი. გრიშაშვილის სალამოზე, 5 მარტს, დ. უზნაძე წაიკითხავს ლექციას „ხელოვნური შემოქმედების რაობა“ და ჩიტო შარაშიძის ქალი წაიკითხავს: „ჩვენი მოზარდი თაობა“.

✦ როგორც ქ. ბათომიდან გვწერენ გადამდებ სენს იქაც თავი უჩენია.

✦ როგორც სოფ. ლიხაურიდან (გურია) გვწერენ, ამ დღეებში იქ გაუტეხიათ ადგილობრივი ეკლესია, წაუღიათ 20 მანეთი ფულათ და სხვა ნივთები გაუძარცვიათ აგრეთვე მღვდლის სადგომიც.

✦ მწვანე-ყვავილის მცხოვრებლები ამ ჟამათ უფურნეობით ძლიერ შეწუხებული არიან.

✦ დათიკო ლოლობერიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას წარსულ კვირას თეატრში დაკარგვია უბის წიგნი სხვადასხვა ქაღალდებით. მპოვნელს თხოვს ეს წიგნაკი მოტანოს „სამშობლოს“ რედაქციაში.

## თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახ. ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ახალი ორიგინალური პიესა. ერთი ცნობილი დრამატურგის დ. კლდიაშვილის „უბედურება„, ტრაგედია ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან. ამ პიესისათვის იხატება ზოგიერთი საჭირო დეკორაციები. მეორე ახალი პიესა კონ. ანდრონისა „სიზმარი კოშკში“. ორივე პიესაში უმთავრეს როლს შეასრულებს ამ პიესებისათვის განსაკუთრებული მოწვეული მ ახიობი ვალ. შალიკაშვილი. დასასრულ წარ. იქნება აკაკის ორიგინალური კომედია. „ბუტიაობა“. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნუმერში, ი. ჩიქოვანის სიტყვაში შემდეგი შეცდომებია გაპარული:

1) „აღარა გვყავს„—მაგიერ უნდა იყოს: „**გვყევხარ**“, 2) „**დაუდგომელი**“-ს მაგიერ „**დაუდგრომელი**“; 3) „ექიმ **ემავახაგან**“-ს მაგიერ „ექიმ **ელიავასაგან**“.

# მომხმარებელი კოოპერატივის კრებაზე.

25 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ წინასწარი კრება, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო.

კრებაზე განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა; 2) დამაარსებელთა მოქმედებაზე; 3) მომხმარებელი კოოპერატივის მიზანი და ძირითადი პრინციპები; 4) კოოპერატიული ფურნისა და სასადილოს მნიშვნელობა; 5) წესდების ძირითადი მუხლები და წევრთა მიღება.

წამოყენებული იყო სხვა კითხვებიც, მაგრამ, რადგანაც წესდების გარჩევაში მონაწილეობა უნდა მიეღო მხოლოდ წევრებს და, რადგან ყველა დამსწრე არა წევრებმაც გამოსთქვეს სურვილი საზოგადოებაში წევრათ ჩაწერისა, ამიტომ კრებამ მათი განხილვა შემდეგისათვის გადასდვა და სთხოვა დამაარსებლებს წევრთა რიცხვის გადიდებაზე ენერგიული ზომების მიღება და დამფუძნებელი კრების, რაც შეიძლება, მალე მოწვევა.

დამაარსებელთა მოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ნაფიც ვექილის თანაშემწე ივ. გობეჩიამ, ხოლო სხვა მუხლებზე „კოოპერაციის“ რედაქტორმა იასონ გაბილაიამ. უკანასკნელის ერთ მოხსენებაზე: „ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა“, რომელზეც ბ-მა დ. ჩადუნელმაც ილაპარაკა, კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. ცხოვრების გაძვირებასა და საქონლის ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში საუკეთესო საშუალებას, თვით მომხმარებელთა ორგანიზაცია წარმოადგენს.

2. მომხმარებელი საზოგადოების დაარსებას განსაკუთრებით მოითხოვს დღევანდელი მომენტი;

3. მომხმარებელი საზოგადოება, მომხმარებელი კოოპერატივი საერთო საქმეა. საერთო საქმე კი ჯეროვან ნაყოფს [illegible] ლევა მხოლოდ მაშინ, [illegible] თეპაში ყველა ღებულობს [illegible] ნაწილეობას, — ამიტომ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების წინასწარი კრება მოუწოდებს ადგილობრივ მცხოვრებთ და სოფლის კოოპერატივებს შემოკრბენ ხსენებული საზოგადოების გარშემო და შეერთებულის ძალით ხელი შეუწყონ სანოვაგის გაიაფებასა და ყიდვა-გაყიდვის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას.

4. რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს კრება გამოთქვამს სურვილს, რომ საზოგადოებამ მოქმედება დაიწყოს წევრებისთვის პირველ მოთხოვნილების სანოვაგის მიწოდებით და ამ მიზნით შეუერთდეს სოფლის კოოპერატივებს და მათთან ერთად დაიწყოს პურის ფქვილისა, სიმინდის და სხვა უპირველეს მოთხოვნილების სანოვაგის გამოწერა პირველ ხელიდან და გაიხსნას კოოპერატიული ფურნე და სასადილო, როცა ფურნით თუ სასადილოთ დაინტერესებულ პირთაგან მოგროვდება საკმაო თანხა.

# აჭარას მიხედოთ.

ჩვენი მოძმე აჭარლების უბედო ბედის ამბავი თითქმის ყველა ჩვენგანმა იცის. ურემი არამც თუ გადაბრუნდა, არამედ კიდეც დაიმტვრა და მაშინ გზის მაჩვენებლებიც ბევრი გამოდგა... ახლა აჭარლების უცოდველობას შინაური და გარეშეებიც ხედვენ. მაგრამ მარტო ის ხომ არა კმარა, რომ აჭარლები უცოდველათ შევურაცხყოთ და ჩვენი ლიტონი თანაგრძნობა გამოუცხადოთ. მშიერ-მწყურვალს, შიშველ-ტიტველს, უბინაო-უსახლკაროს შველა უნდა და შველაც თავის დროზე. ფლავი მშიერ მოლასთვის იყო კარგი და არა მკვდრისათვის. სიცოცხლეში ერთი კოვზი ერჩია სიკვდილის შემდეგ თავზე დაყრილ ერთ გობს... ვიცი აჭარის დღევანდელი მდგომარეობა და ვიცი აჭარის ადგილ-მდებარეობაც და ამიტომაც გულის სიღრმიდან გეუბნებით: შია აჭარლებს! შიათ და აი რატომ.

აჭარლის უმთავრესი საზრდო სიმინდია. სიმინდი კი ხეირობს მხოლოდ ქვედა აჭარაში, შავი ზღვის პირათ, ჭოროხის შავ ზღვასთან მდებარე კახაბერის მინდორი აჭარის ძუძუა—კახაბერი კვებს აჭარას... კახაბერის სახნავ-სათეს მინდორში ბევრს აჭარლებს აქვს ყანის მუშაობის დროს დროებითი სამყოფი სახლი. ყანის მუშაობის დროს აჭარელს ჩამოაქვს 15—20 დღის საგზალი, ბინავდება ყანაში და როცა თავთავის დროს სამუშაოს მოათავებს მერმეთ ბრუნდება მთაში. აჭარელს ნალია-სასიმინდე იქვე აქვს ყანაში, მოწეულ სიმინდს მარტამდი იქვე ინახავს, მარტში გასტეხს და მარცვლათ მიაქვს სახლში. კახაბერის მინდვრის პატრონები, არამც თუ იმდენ სიმინდს იწევენ, თვით იყოფინონ არამედ ყიდიან კიდეც, და ყიდიან ისევ თავისიანებზე.

აჭარას უბედურება სწორეთ იმ დროს დაატყდა თავს, როცა მართალია, ყანა აღაგებული ჰქონდა, მაგრამ სიმინდი ნედლი იყო, მისი გაფშვნა არ შეიძლებოდა და ან ვის ეცალა მაშინ სახვალიო რამეზე ეზრუნა... დაიცალა ქვედა აჭარა, მიატოვეს სავსე ნალიები და მიაშურეს მთას, უფრო მიუვალი ადგილი მოძებნეს: ამ მიუვალ ადგილას კი მთიელ აჭარელს ჰქონდა 2—3 თვის საზრდო და ისიც თავის ოჯახის წევრთათვის. 2—3 თვის შემდეგ კი ის სიმინდს ქვედა აჭარლიდან ყიდულობდა. ახლა კი შემოხიზნული ქვედა აჭარელიც და თავისი ცოლ-შვილიც სარჩენად შემოეხვია თავს. ამას ზედ დაურთეთ ოსმალოს ასკერების თარეში—იმათაც მჭადი უნდოდათ, არ აჭმევდი ძალათ გაჭმევინებდენ. მე ცხადათ მაქვს წარმოდგენილი, თუ რა გაჭირვებას განიცდიან დღეს აჭარლები. თავიანთ სასიმინდეებზე მოწყვეტილებია და თუ გინდ არ იყვნენ მოწყვეტილნი, თქვენ ფიქრობთ აჭარელს ახლა კახაბერის სასიმინდეებში დახვდებათ რამე. კახაბერი ზედ ბათომზე არის მოდებული და როგორ ფიქრობთ ამ დროს პატრონიანს უპატრონებიან და უპატრონოს ვინ დატოვებდა. დღეს აჭარელი ვინც კი გადარჩა მოწყვეტილია ბაზარს, აკლია მარილი, ნავთი და რაც ყველაზე უფრო საშიშარია, აკლია მჭადი. შიათ აჭარლებს და ნუ თუ ჩვენ არ გვმართებს ვიზრუნოთ მშიერთათვის. დამერწმუნეთ, რომ დღეს აჭარა ოთხი კუთხიდ მოწყვე-

სავაჭრო სახლი
„ი. გოკიელოვის შ—ზის“
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდისა მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ [illegible] მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევს იარმუკაში. თ.


ტილია და არსაიდან არ შეუძლია შეიტანონ საზრდო. ამ ყოფაში აჭარას მოელის აუცილებლათ შიმშილით გაწყვეტა. სტირიან პატარა აჭარლები და მათი თვალი ჩვენსკენ არის—მივხედოთ, ვაჭამოთ მშიერს! („ახ. აზ.“)

**აპ. წულაძე**

---

## მოყვასისათვის თავგანწირულ ადამიანს.

**სიტყვის მაგიერი.**

„კაცი ის არის, ვინც მისდევს
დიდი მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის
თავს აცილებს ვნებასა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს
თავი სამსხვერპლო წილადა
ქვეყნის ცრემლები პირად უჩნს
მისი ღიმილი ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოავლებს ფთილადა!“

**რ. ე.**

დღეს ლეჩხუმის მაზრაში სამშობლო მიწა მიიბარებს ბრძოლის ველზე მოყვასისათვის გმირულად დაღუპულ მამულიშვილს ვარლამ გელოვანის გაციებულ ცხედარს! დღეს პატარა კუთხე ლეჩხუმი საუკუნოდ გამოეთხოვება თავის ღირსეულ შვილს, რომელმაც თავისი თავი შესწირა მოძმის ჭირ-ვარამს! განსვენებულმა ვარლამმა მოკლე ხნის განმავლობაში საარაკო და თავგანწირული მოღვაწეობით ისახელა ბრძოლის ველზე თავი; თავისი სამღვთო და წმინდა მოვალეობის აღსრულების დროს ის ყოველთვის თავდადებული იყო და განურჩევლად ეროვნებისა ყველას ცრემლს სწმენდდა, ტანჯვას უმსუბუქებდა. სათათბიროს ტრიბუნიდან პირველად მისი ხმა გაისმა ეროვნული იდეალების დაცვის შესახებ; თუმცა მას კიცხვა-გმობაც ბევრი შეხვდა, მაგრამ ერთხელაც არ გაუტეხია გული და არ უღალატნია თავისი დანიშნულებისათვის და როგორც ჯარისკაცი საყარაულოზე, ისე გმირულად დალია უკანასკნელი დღენი... ერთად ქართველ საზოგადოებასთან და შენს ჭირისუფლებთან შენს უდროოდ და ტრაგიკულად დაკარგვას მეცა ვგლოვობ, პატიოსანო და გულწრფელო მოამაგევ! შენი სახელი დიდხანს დარჩება გადაუგვარებელ ქართველთა გულში და უფრო დიდებით მოიხსენება მაშინ, როდესაც ქართველი ერის ნაციონალური უფლებები აყვავდება. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

**ლადო ბზვანელი.**

---

## ჯაჯუ ჯორჯიკია

(სურათი იხილეთ დღეს დამატებაში).

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც საწერლო ასპარეზზე გამოვიდა და დაიმსახურა კიდეც როგორც მკითხველებისა, ისე კრიტიკის ყურადღება.

ევროპიულად განათლებული, ახალგაზდა მხნე და მუყაითი ქართველია.

თავდავიწყებამდე უყვარს მწერლობა და საქართველო.

წელს გამოვიდა მშვენიერი გამოცემა ჯაჯუს თხზულებათა.

ფხიანი და დაკვირვებული მწერალია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ჯაჯუ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს სიტყვა კაზმული მწერლობაში.

ვუსურვოთ ჯანმრთელობა და მეტი მხნეობა.

ამ ჟამად ჯაჯუ ფრანგულის მასწავლებელია ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და მოწაფეთა სიყვარულიცა აქვს დამსახურებული.

**გ.**

---

## ზარზმის მონასტერი.

(იხ. დღევანდელ დამატებაში).

ზარზმის მონასტერი იმყოფება სამცხე საათაბაგოში.

აი რასა სწერს ბატონიშვილი ვახუშტი **თავის გეოგრაფიაში:**

„წურწყუმს ზევით, ჯაყის წყალზედა, არის ყვილის ციხე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ უქმი. ყვილის ზევით, მთაში, არს ზარზმის მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, მშვენიერს ადგილს და აწ უქმი“.

„ზარზმა ნიშნავს ზარცემას, ზარქმნას (ზარ-ზმა). მისი სახელი ამართლებს მიზეზს მისის აშენებისას. დავით კუროპალატის ჯარს წაუძლვა სახელოვანი თორნიკე და დაამარცხა ბარდა ხკლეაროსი, იქიდან დაბრუნებულთ აუგიათ ეს ტაძარი და დაურქმევიათ „ზარზმა“ ასე გადმოგვცემს მ. ჯანაშვილი.

თვით წარწერა სამრეკლოზე ამტკიცებს ამას. ყველა წარწერები ამ ტაძრისა გადმოიღო ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც ტაძრის განახლების დროს 1903 წ. იქ მუშაობდა. ტაძარი ზარზმისა განახლებული იქნა იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის (ხელმწიფე ნიკოლოზ II-ს დედის) ბრძანებით (ცესარევიჩ გიორგის სახელზე. რესტავრაცია ამ ტაძრისა, როგორც გადმოგვცემენ, დამჯდარა 140,000 მანეთი და უნდა აღვიაროთ, რომ ტაძარი ხელუხლებლათ არის განახლებული. დაცულია ყოველივე სიძველე, არაფერია გადასხვაფერებული, გარდა ერთი ქვისა, რომელზედაც არის რუსული წარწერა, რომ ეს ტაძარი განახლებულია, 1903 წ. მხატვრობა მაინც ისე არ არის აღდგენილი, რომ როდესაც ეკლესიაში შევედით პირდაპირ გაკვირვებული დავრჩით. ვისაც ზარზმის ეკლესია უნახავს, იმას ნათლად ექნება წარმოდგენილი ქართველი ხალხის ძველი კულტურა.

ზარზმის მონასტერს შეადგენს ტაძარი, სამრეკლო მარჯვნით და ერთი ნანგრევი მარცხნით სადაც აწყვია ჩუქურთმები და ქვები ხუცურის წარწერებით.

ზარზმის მონასტერში არავინ ცხოვრობს და კლიტე ეკლესიისა აბარია ზარზმის ერთ მაჰმადიანს, რომელიც თითქმის 30 წელიწადია უვლის ზარზმის მონასტერს და უნდა ვსთქვათ, რომ სწორეთ დიდის პატივისცემით ექცევა ეს მაჰმადიანი ამ მონასტერს.

შეხვალთ ეკლესიაში და შიგ მხატვრობის მეტი არაფერია, მაგრამ ეს მხატვრობა არის დღეს ამ ეკლესიის სიმდიდრე; ნამდვილი სიმდიდრე კი თავის დროზე ოსმალების შემოსევის დროზე გადატანილი იყო გურიაში, შემოქმედის მონასტერში, რომელიც აღმართულია მდინარე ბზუნჯის მარცხენა ნაპირს სამხრეთ აღმოსავლეთით და ხუთი ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან. ამ შემოქმედის მონასტერში დღემდი ინახება სიგელი ზარზმის ეკლესიისა აგების შესახებ და ეკუთნის იგი გოგიტიძეების შთამამავლობას. იქვე ინახება რამდენიმე ხატი, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია ღვთის მშობლის ხატს. ამგვარი სიმდიდრე მონასტრისა ერთ დროს გადატანილი იყო გურიაში შემოქმედის მონასტერში და იმისთვის არის, რომ შემოქმედის მონასტრის ერთ ეკლესიას ეწოდება ზარზმის სახელი.

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს ზარზმის მონასტრის სიმდიდრეს, რომელსაც შეადგენს მხატვრობა, მას მტერმა ვერაფერი დააკლო და აქამდის ასე მშვენიერათ შერჩა კედლებს ეს მშვენიერი მხატვრობა, რომელიც რესტავრაციის შემდეგ წამოგვიდგა ჩვენ ისე, როგორც ყოფილა ამ შვიდი—რვა საუკუნის წინად.

მარჯვენა კედელზე შემდეგი მხატვრობებია „ერისთავთ ერისთავი გიორგი ჩურჩნელი“, „მეფეთა მეფე ბაგრატი“, „მამა სერაფიონი“, რომელსაც ბაგრატ მეფისგან, როგორც იქვე მოყვანილ წარწერებიდან ჩანს „სიგელნი და ენქერნი“, ებოძა, „ქართლისა ქათალიკოზი ევთიმეოზი“, და იესო ქრისტე, რომელსაც წარწერა ბერძნული აქვს.

მარცხენა კედელზე კი შემდეგი: „მანდატურთ უხუცესი ბექაი“. ეს ბექა ის სჯულმდებელი ბექა არის, რომელმაც თავის სამთავროს გაუჩინა საკუთარი სამართალი.

ბექას შემდეგ მოჰყვება მხატვრობა, რომელსაც აწერია „სამცხის სპასალარი სარგის, დამხდურთ უხუცესი“, ამის მერე „ამირ სპასალარი ყვარყვარე“ ბოლოს კი მიყვება წმინდანები.

დახატულია წმინდა პეტრე, პავლე და სხვა.

მშვენიერათ არის განახლებული მხატვრობა ამ მონასტრისა, სათითაოთ ყოველი სურათი, ყოველი ხაზი, ყოველი წერტილი კარგათ არის დაცული.

„ცხოვ. და მეცნ.“

---

## პატარა ფელეტონი.

**მოგონება.**

(ზოგიერთებს)

მახსოვს პირველად უნივერსიტეტში
წასასვლელადა რომ მომამზადეს,
სამგზავრო ფული მომცეს მე ხელში
და შორსა გზასა მე გამამგზავრეს.

—

ვხ დავდი, მშობლებს, რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ცხოვრებას ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

—

მხოლოდ ვაგონში ვიღაც უცნობმა
მითხრა: ყმაწვილო, კმარა, ნუ სტირი,
რა გაარიგა ოჯახში მყოფმა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?

—

გიყვარდეს ბანქო და ქეიფობა,
ქალების დევნა ნუ დაგზარდება,
და ის თამაში და არშიყობა
გასიამოვნებს, გამოგადგება.

—

პროფესორების რად გინდა სმენა?
ფუჭია, ძმაო, სწავლის შეძენა,
არ დაიჯერო, ვითომც საჭირო
იყოს რაისთვისმე სამშობლო ენა!

—

მერწმუნე, რომა გამოცდილია
თუ შენი ჯიბე გამოცლილია,
მაშინ მეგობრის საშოვნელადა
ყოველი შრომა დაკარგულია!

—

სთქვა ეს უცნობმა და ჩამომშორდა,
მეც მისი სიტყვა დამანახსოვრდა
უნივერსიტეტში მანამ ვსწავლობდი,
ბანქოს, ღვინოს და ქალებს ვწყალობდი.

**ლადო ბზვანელი.**

---

## დაბა-სოფელი.

**ს. თერჯოლა.** (ჩხარის რაიონი). ეს სოფელი მდებარეობით საუცხოვოა, მიწა ნოყიერია და მოსავალს კარგს იძლევა. ხალხიც მშრომელი და მკვირცხლი, მაგრამ დღევანდელი პირობების მიხედვით აუცილებელ საჭირო მოთხოვნილებისათვის ალღო ვერ აუღია და ეს უნდა ჩაითვალოს მიზეზათ ამ საზოგადოების ნივთიერათ, თუ სწავლა განათლების მხრივ ჩამორჩენისა. საამისო სურვილი რომ არის და ამის საჭიროებას რომ გრძნობს გლეხი დღეს, ეს ცხადია, მაგრამ კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა მანძილია სურვილსა და სინამდვილეს შუა და აი, სწორეთ ხალხს რომ წინამძღოლი და გულშემატკივარი ყავდეს, ეს საზოგადოება კარგა ხნის წინათ გახდებოდა კულტურის მატარებლათ, მით უფრო, რომ ამას ხელს უწყობს რკინის გზის სიახლოვე და კარგი შარა გზა.

მიწის დამუშავება აქ ძველებურათ სწარმოებს. ინტელიგენციას ან რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულების საქმეში ჩარევა არაფერში ჩანს. არ მისდევენ აქით მეაბრეშუმობას, მეფუტკრეობას, მებაღეობას და სხვა.

სწავლა განათლებისათვისაც არავის შეუტკივება თავი, მაგრამ სოფელს მაინც მოუხერხებია რამდენიმე სასწავლებლის გახსნა, თუმცა ხალხში სინათლის გავრცელებას თან დაყოლია შინაური მტერიც, ამის მაგალითია მახლობელ სოფელ ალის უბანში ორკლასიანი სკოლის საუკეთესო შენობის გადაწვა, რომლის კედლებიც გულსაკლავათ გამოიყურება, თითქოს უსაყვედურებს ბოროტ—ხელს: „რას მერჩოდიო.“

თვით თერჯოლაში არის ორკლასიანი სასწავლებელი, კარგა მოზდილი შენობით. სოფელს ამ შენობის ყურის მგდებლათ რამდენიმე კაცი აურჩევია.

ამ პატივცემულმა პირებმა მოინდომეს სკოლისათვის ახალი შენობის შეძენა; გამყიდველებიც ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ, სადაც რიგიანი სახლები იყო მათთვის ხელსაყრელი არ გამოდგა (რადგანაც მაათვის სასარფო არ იყო), ამიტომ უყიდიათ ერთი ძველი უვარგისი სახლი, რომელიც საზოგადოებას უანგარიშეს 2,500 მანეთად ეს შენობა, საზოგადოების დაუკითხავათ, ჩადგეს კიდეც წინანდელი სკოლის გვერდით.

საჭირო იყო საზოგადოების დასტური შენობის შეძენაზე; მოიწვიეს საზოგადო ყრილობა, ბევრი შეეკადნენ აღნიშნული პირები—უვარგისი შენობა თავზე მოეხვიათ საზოგადოებისთვის, მაგრამ საზოგადოება მახეში არ გაება და არამკითხეთ, ადგილის დაცლა მოსთხოვეს და განაცხადეს „თუ დღევანდელი უბედურებას დავაღწიეთ თავი ამ ფასათ აგურის შენობას ავაგებთ და ეს საღდესო ას თუმნიანი სახლი არაა გამოსადეგიო“.

**ა. ხაბულიანი.**

---

## ომში დაჭრი და დაავათმყოფი ჯარის კაცები.

**კიევში იმყოფებიან:**

პერდუსიანი აკაკი დავითის ძე, ერევნ. გუბ. ალექ. მაზ. გაბიჩვაძე იონა ერასტოს ძე, ექიმი, ქუთ. გუბ. ზასეშვილი მიხეილ ტიმოთეს ძე. ზისტარია კონსტანტინე კონდრატის ძე. იბრაგიმოვი აბდულ. ბიზურაშვილი ზაქარია აბრამის ძე, თფილისის გუბ. ალავიძე სერგო კონსტანტინეს ძე, ქ. ქუთაისი. ცინცაძე იოსებ ლეონტის ძე, ქუთ. გუბ. ბაროსაშვილი იაკობ ხაიმას ძე, თფ. გუბ. ველიჟანოვი დავით აკიმის ძე, თფილ. გუბ. ახალც. მაზ. სუხანხანოვი ინჯრა ბეკ. დაღესტ. ოლქი, ისაევი იმამ ბოხან, დაღესტ. ოლქი. გაიაშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, თფ. გუბ. გორ. მაზ. ბლიუზნიუკი სერგეი ვასილის ძე, ქალ. თფილისი. რახასინ შლირ, ბაქ. გუბ. კუბინ. მაზრა. კალანდია სერგო დიმიტრის ძე, ქუთ. გუბ. სენაკ. მაზ. ზუბედაშვილი არსენ ბატულის ძე, თფ. გუბ. თელავის მაზ. კირვალიძე ალექსანდრე სიმონის ძე ქ. თფილისი. მიტიხაროვი არუტინ. ვართანის ძე, ქ. თფილისი მიჩიხალი დანიელ ოგანესის ძე, ქ. ქუთაისი. ბაბუევი ზახარი კარპენის ძე, ქ. თფილისი. აბულიაშვილი ზახარი ილიას ძე, ქალ. თფილისი. ვიკოვ არკადი სიმონის ძე, ქ. გუბ. ვაშაძე არკადი სიმონის ძე, ქ. გუბ. კორძელია სიმონ, ქუთ. გუბ. დ. ზუგდიდი. ტაკიძე ილია ოქროპირის ძე, ქ. გუბ. ოზურ. მაზ. ს. აცანა.

—

**ომში მოკლული ჯარისკაცები:**

კორდიკაშვილი იოსებ დიმიტრის ძე, დუშეთის მაზრა. მეზვრაშვილი კონსტ. გიორგის ძე, დუშეთის მაზრა. სამაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე, დუშეთის მაზრა. გიგაური—ფშოვილაშვილი პავლე შიოს ძე, დუშეთის მაზრა. მელაძე კონსტანტინე სვიმონის ძე, დუშეთის მაზრა. ლომსაძე მიხეილ გიორგის ძე, ნადარეიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, სენაკის მაზ. ს. ონტოფო. კაპანაძე არტემ შალ. შორაპნის მაზ. ჩხიროულის საზოგ. კარციხი (კარციძე?) გაბრიელ ლეონის ძე, ქუთ. მ. სამოქალაქო საზოგ. ქორიძე ნილი ილარიონის ძე, სენაკის მ. ს. ონტოფო. გაგავა ასეი სვიმონის ძე, სენაკის მ. სოფ. სამიქავო. გაგაშვილი კაპიტ. ლაზარეს ძე, სენაკის მაზრა ს. მარიანი. ტყეშელაშვილი ლეონი ვასილის ძე, ქუთაისის მაზრა. ფერაძე გალაქტიონ ექვთიმეს ძე, შორაპნის მაზრა და საზოგ. გუგუშვილი ნესტორ თადეოსის ძე, სენაკის მ. სოფ. ნაესაკოვისა (?) ცხოვრებაშვილი პეტრე, პონისმედაშვილი (?) ბესარიონ მოვშეს ძე. ციპორაშვილი ალექსანდრე თევდორეს ძე, გელიევი იოსებ ელზარის ძე, გაგლაშვილი გრიგოლ იესეს ძე. კუკულაძე ნიკიფორე იასეს ძე. ქემელაშვილი გრიგოლ ილ. ძე. გიგაური ფიდო სოლომონის ძე. გელაშვილი პავლე ელიზბარის ძე. ბარბაქაძე ამბაკო გარსევანის ძე. ჩხეიძე ონისიმე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის მაზ. სოფ. ბზოვისა (?) შალოიანი ერმოლოზ იაკობის ძე, ქუთ. მაზ. ს. ჩუნეში. სამფეგოვი დიმიტრი, დუშეთის მ. სოფ. სუსეთი. ბახტაძე იოსებ ალექსანდრეს ძე, ქუთ. მაზრა, სოფ. ტაბორინარი. ქიიავა ივანე სოლომონის ძე, სენაკის მაზრა. ზურაბიშვილი პეტრე მიხეილის ძე, დუშეთის მაზრა. მარღიშვილი ზაქარია ეგნატეს ძე, დუშეთის მაზრა. ბალარჯიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე თბილისის მაზრა. წერეთელი ილია დავითის ძე, სიღნაღის მაზრა. ჩხაიძე ნესტორ ნიკოლოზის ძე. ნოზაძე სვიმონ გრიგოლის ძე, ქ. გორი. გაბოზაშვილი სპირიდონ გარსევანის ძე. ზაგოევი ზურაბი. ვალიშვილი იოსებ ივანეს ძე. გელაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. მაისურაძე ივანე დავითის ძე. ბუტაური სარქის ალექსანდრეს ძე. გაგოლაშვილი სვიმონ ანდრიას ძე.

სალიქვაძე პორფილე იოსების ძე, გარდაიცვალა ქ. კიევში, მუცლის სახადით— იანვრის 15-ში. ჩიკვადუა ეფრემ ვიცკ. ძე. ქ. ქუთაისიდან, გარდაიცვალა იანვრის 24-ში ჭრილობებისაგან თავში.

**ომში დაჭრილი აფიცრები:**

კაპიტანი მიხეილ აქვსენტის ძე ანჯაფარიძე. პოდპორუჩიკი ონისიფორე ზაქარიას ძე დოლიძე (ჯარში დარჩა).

მოსკოვში იმყოფება: პოდპორუჩიკი იროდიონ გიორგის ძე ხომერიკი.

პეტროგრადში იმყოფებიან: პორუჩიკი მიხეილ სტეფანეს ძე ქორქაშვილი. კაპიტანი აკაკი გაბრიელის ძე ოთხმეზური. პორუჩიკი გიორგი კონსტანტინეს ძე სიამაშვილი და ხარკოვში პრაპორშჩიკი როსონ (როსაპ?) ვლადიმერის ძე გოგიჩაიშვილი (ავათ არის).

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

I.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ თქვენი გაზეთის 21 №-ში მოთავსებულ დეპ. ვ. გელოვანის ნეშთის დამკრძალველ კომიტეტის სხდომის ანგარიშში შემდეგი ფაქტიური შესწორება შეიტანოთ. ანგარიშში ნათქვამია: „დამკრძალველ კომიტეტში წინა დღით, სხვათა შორის, **მახივე თანხმობით,** არჩეულ იქნენ მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატათ ნამყოფი ევგენი გეგეჭკორი“...

ჩვენ, ევგენი გეგეჭკორის ახანაგები რომლებმაც 23 თებერვალს დავესწარით ქალაქის თვითმართველობის შენობაში მომხვდარ კრებას და დასახელებულ ვიქენით დამკრძალველ კომიტეტის წევრებათ ვაცხადებთ, რომ იმ კრებას ევგენი გეგეჭკორი სრულებით არ დასწრებია და მის დაუსწრებლათ იქნა ის დასახელებული დამკრძალველ კომიტეტის წევრათ და მან მხოლოთ მეორე დღეს გაიგო ეს. როგორც ის, ისე ჩვენც არ დავსწრებივართ 24 თებერვალს და შემდეგში მომხვდარ კრებებს*)

ნაფიცი ვექილების თანაშემწეები
**გრ. გიორგაძე, ილიკო ფირცხალაშვილი.**

II.

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქუთათურ ქართველ ქალებს, რომლებმაც გამოუგზავნეს ჩემდამი რწმუნებულს სასწავლებელს 50-ი ცალი მათ მიერ უფასოთ ხალხში დასარიგებლათ გამოცემული აკაკის ლექსთა წიგნაკი.

ამგვარი წიგნაკები დაურიგდა სხვადასხვა სოფლების სკოლებს 600 ც.

საჩხერის ქალთა ორკლასიანი სასწავლების მმართველი:

**ანეტა იურკევიჩის ქალი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ბბ-ნ ავტორების მართლ-წერით, სრულიად შეუცვლელად. მხოლოდ არ შეგვიძლია ჩვენც არ შევიტანოთ შემდეგი ფაქტიური შესწორება.

რედაქციას არ უთქვამს, რომ ბ-ნი გეგეჭკორი დაესწრო იმ კრებასაო.

გეგეჭკორის მხრივ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, თანხმობა განაცხადა ბატონმა გრ. გიორგაძემ და ესეც საკმარისი იყო, რომ რედაქციას მათი წინა დღის თანხმობა თავის ანგარიშში აღენიშნა.

**რედაქცია.**

[illegible] ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.